აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 3

29 დეკემბერი 2014 წელი **ქ. ბათუმი**

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: გია გარსევანიშვილი, ქეთევან ჯიქია, ასლან ჩავლეიშვილი და მალხაზ კალანდაძე

არ ესწრებოდნენ: თამარ ხოზრევანიძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

2. დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2015 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

4. განკარგულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

5. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

2. დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2015 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

4. განკარგულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

1. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4

დადგენილებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, „იმ ბლანკების, ბეჭდებისა და სხვა საშუალებების დამზადების, გამოყენების, შენახვისა და განადგურების წესების განსაზღვრის შესახებ, რომლებზედაც საქართველოს სახელმწიფო გერბია გამოსახული“ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 ნოემბრის №2858-Iს დადგენილების და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით (გაზეთი ,,აჭარა“ 23.05.2006 წ. №91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლის „ჟ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ პუნქტი:

„რ) საქმისწარმოებისათვის პასუხისმგებელი სამსახურიდან ნიშნავს გერბიანი ბლანკებისა და ბეჭდების აღრიცხვის, გამოყენებისა და შენახვისათვის პერსონალურად პასუხისმგებელ პირებს და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) ქმნის და ნიშნავს გერბიანი ბლანკებისა და ბეჭდების არსებობის, გამოყენებისა და შენახვის შემმოწმებელი კომისიის წევრებს“.

2. მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებული იქნეს.

3. მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ცალკეულ შემთხვევებში უსკოს აპარატის თანამშრომელთა შესასრულებელი სამუშაოების ადმინისტრირების მიზნით, უსკოს თავმჯდომარე უფლებამოსილია ბრძანებით დაამტკიცოს ცალკეულ თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა“.

4. მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ. ახორციელებს გერბიანი ბლანკებისა და ბეჭდების დამზადების, გამოყენებისა და შენახვის კონტროლს, აღრიცხვას, განადგურებას და შენახვას სათანადოდ ჩაკეტილ და დაცულ ადგილას, „იმ ბლანკების, ბეჭდებისა და სხვა საშუალებების დამზადების, გამოყენების, შენახვისა და განადგურების წესების განსაზღვრის შესახებ, რომლებზედაც საქართველოს სახელმწიფო გერბია გამოსახული“ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 ნოემბრის №2858-Iს დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად“.

5. მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბ[1] პუნქტი:

„ბ[1]. უზრუნველყოფს გერბიანი ბლანკების აღრიცხვისათვის სააღრიცხვო-სარეგისტრაციო ფორმის (ბარათი, ჟურნალი) შემუშავებას და ფორმების დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურაში შეტანას“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 25 აპრილის №5 დადგენილებში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 25 აპრილის №5 დადგენილებში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. „უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 25 აპრილის №5 დადგენილებით (გაზეთი ,,აჭარა“ 27. 04. 2007 წ. №66) დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ამოღებული იქნეს.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2015 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უსკოს 2015 წლის ხარჯები არის იგივე რაც იყო მ/წელში, რის შემდეგაც კომისიას დეტალურად გაეცნო უსკოს 2015 წლის ხარჯთაღრიცხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2015 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2015 წლის ხარჯთაღრიცხვა დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალაში შესვლის დღიდან.

(დანართი თან ახლავს)

4. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულებაში ცვლელების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი რის შემდეგაც სიტყვა გადასცა უსკოს აპარატის საერთო სამსახურის უფროსს სულხან ჩოგაძეს კომისიისათვის დეტალურად გაეცნო განკარგულების პროექტი

საერთო სამსახურის უფროსმა სულხან ჩოგაძემ კომისიას დეტალურად გააცნო ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო

კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულების პირველ პუნქტში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმა თანდართული ნიმუშის შესაბამისად:

„უსკოს ბლანკი შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: ბლანკი არის მართკუთხა ფორმის ა4 (210X297მმ) ფორმატის, თაბახის ფურცელი. ფურცელის ზედა მარცხენა ნაწილში გამოსახულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი, რომლის მარცხენა მხარეს (დამკვირვებლის პოზიციიდან, რომელიც დგას ამ გერბის პირდაპირ) გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო მცირე გერბი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის მარჯვნივ მითითებულია გამომცემი ორგანოს დასახელება სახელმწიფო და ინგლისურ ენაზე, გერბისა და გამომცემი

ორგანოს დასახელების ქვემოთ გასმულია ლურჯი ფერის 3 მმ სიმაღლის ხაზი 12 სმ სიგრძის, ხაზის ქვემოთ მითითებულია ინდექსისა და რიგითობის ნომერი, გამოცემის რიცხვი, თვე და წელი. ფურცელის ბოლოში, ბოლოდან 35 მმ ზევით გასმულია 17 სმ სიგრძის 3 მმ სიმაღლის ლურჯი ფერის ხაზი, ხაზის ქვემოთ მითითებულია უსკოს მისამართი, ვებ-მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, როგორც სახელმწიფო ასევე ინგლისურ ენაზე. ბლანკს აქვს შემდეგი მინდვრის ზომები: ზედა - 20 მმ, მარჯვენა - 10 მმ, მარცხენა და ქვედა - 20 მმ. ფურცლის უკანა მხარეს ბოლო მარჯვენა კუთხეში მითითებულია ფურცელის (ბლანკის) რიგითი ნომერი“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.
(დანართი თან ახლავს)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**